



english book
education®



TOEFL® ტესტის მშობლის გზამკვლევი

Authorized Distributor of the

TOEFL® Primary™ Tests

From ETS

Authorized Distributor of the

TOEFL Junior® Test

From ETS

Authorized Distributor of the

TOEFL ITP® ASSESSMENT SERIES

From ETS

ENGLISH BOOK EDUCATION

უმაღლესი ბანათლება

სწავლება / სასწავლო
პლატფორმები;
ადმინისტრაციული
სისტემები;
ციფრული რესურსების
მართვა/ელ-სწავლება;
დამატებითი რესურსები.

დაწყებითი და საბაზო საფეხურის სასკოლო ბანათლება

სკოლამდელი ასაკის
ბავშვებისა და
თინეიჯერებისთვის
ძირითადი და
დამატებითი კურსის
მასალები, პროდუქტები
და შეთავაზებები.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების ბანათლება

მასალათა ფართო არჩევანი
Macmillan Education-ისგან
უზრუნველყოფს მოზარდებს
კარგად ორგანიზებული,
არასტრესული გარემოთი,
რომელიც უმაღლეს
მათ თვითშეფასებას,
მატებს ცოდნასა და
თავდაჯერებულობას.

ენების ცენტრი

ნებისმიერი ასაკის
მსურველთათვის;
თანამედროვე ციფრული და
ბეჭდური რესურსები;
TOEFL® ტესტი;
PTE (Pearson Test of English);
ინგლისური სპეციფიკური
მიზნებისთვის.

მასწავლებლების ბანავითარება

პროფესიული განვითარება;
ტრენინგები ინგლისური ენის
მასწავლებლებისთვის;
ELT კონფერენციები;
საგაკვეთილო
დაკვირვებები;
მასწავლებლებზე
მორგებული ტრენინგები.

კვალიფიკაცია და სასწავლო გეგმა

TOEFL® ტესტის საგამოცდო
ცენტრი;
PTE საერთაშორისო
ტესტის ექსკლუზიური
წარმომადგენელი;
სასწავლო გეგმის შექმნა
სხვადასხვა პროექტისთვის.



განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანების ცხოვრებაში. დღესდღეობით, უცხო ენის, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის, ცოდნა აუცილებელია. **TOEFL®** ტესტი უმომენტეს კანდიდატებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს, აფასებს მათ სხვადასხვა ჭრილში ტესტის შემადგენელი კომპონენტების მიხედვით და უმომენტეს/უვითარებს ცხოვრებისთვის საჭირო უნარებს.

საერთაშორისო სერტიფიკატთან ერთად მომხმარებელი იღებს დეტალურ შეფასებას, სამომავლო განვითარების რეკომენდაციებსა და დამატებით საკითხავ ლიტერატურას.

TOEFL® ტესტი გამოირჩევა სანდო შეფასების სისტემით და შედეგების ანალიზის მიწოდების სერვისით. იგი მუდმივად ჩართულია კანდიდატის განათლების მიღების პროცესში და ბრუნავს მის სამომავლო განვითარებაზე.

სარჩევი

1

TOEFL® შეფასების სისტემა;

2

TOEFL Primary® ტესტები;

3

რატომ უნდა ჩავაბაროთ TOEFL Primary® ტესტები?

4

როგორ უნდა გამოვიყენოთ TOEFL Primary® ტესტები?

5

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტი TOEFL Primary® ტესტებისთვის;

6

TOEFL Primary® ტესტები და Macmillan English;

7

TOEFL Junior® Standard ტესტი;

8

რატომ TOEFL Junior® Standard ტესტი?

9

HMC Projects სასტიპენდიო პროგრამა;

10-11

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტი TOEFL Junior® Standard ტესტისთვის;

სარჩევი

12

TOEFL Junior® Standard ტესტი და *Beyond*;

13

Lexile® ბიბლიოთეკა;

14

TOEFL ITP® ტესტების შეფასებათა სერიები;

15

რატომ უნდა ჩავაბაროთ *TOEFL ITP*® ტესტები?

16

TOEFL ITP® ტესტის ქულების შესაბამისობა საერთო ევროპულ სარეფერენციო ჩარჩოსთან (CEFR);

17

TOEFL ITP® ტესტები მსოფლიო მასშტაბით;

18

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტი *TOEFL ITP*® ტესტებისთვის;

19-20

10 გზა, თუ როგორ უნდა ჩავაბაროთ *TOEFL*® ტესტები;

21-22

10 გზა, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ *TOEFL*® ტესტებისთვის.

TOEFL® შეფასების სისტემა

TOEFL®-ის თითოეული ტესტი შექმნილია განსხვავებული ასაკისა და გამოცდილების მქონე პირებისთვის.

პროფესიონალი	C2			
	C1			
დაბოთადაბალი	B2			☐ დონის განსაზღვრა ☐ მონიტორინგი ☐ პროგრესი
	B1		☐ დონის განსაზღვრა ☐ მონიტორინგი ☐ პროგრესი	☐ სპეციფიკურ პროგრამებში დაშვება
დაწყებითი	A2	☐ მონიტორინგი ☐ პროგრესი ☐ მასწავლებლის მხარდაჭერა		
	A1			
CEFR დონეები (საერთო ევროპული სარეფერენციო ჩარჩო)		8 წლიდან	11 წლიდან	16 წლიდან

TOEFL PRIMARY® ტესტები



- ▣ TOEFL Primary® ტესტები TOEFL® შეფასების სისტემის უახლესი პროდუქტია;
- ▣ აფასებს ზოგადი ინგლისურის ცოდნის დონეს 8-დან 11-წლამდე ასაკის მოსწავლეებში;
- ▣ ავლენს თითოეული სტუდენტის უნარებს კითხვასა და მოსმენაში;
- ▣ ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლეების CEFR სტანდარტთან შესაბამისობაში ყოფნის და მათი უნარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში;
- ▣ ეფუძნება კვლევებს და აქვს საუკეთესო გამოცდილება ინგლისური ენის ტესტირებაში.

ანა ვადაშკორია



“ხუთი წლის ასაკში დავიწყე ინგლისური ენის შესწავლა და მას შემდეგ მინდოდა ჩემი ცოდნის შემოწმება. TOEFL Primary® ტესტი და მისი დეტალური რეპორტი დამეხმარა გამეგო, თუ რა ვიცოდი და რა მხრივ მჭირდებოდა განვითარება. TOEFL Primary® ტესტმა მომცა საშუალება მიმეღწია მიზნებისთვის და დამესახა სამომავლო გეგმები ჩემი მომავალი განვითარებისთვის”.

რატომ უნდა ჩავსაბაროთ TOEFL PRIMARY® ტესტიები?




- დეტალური და სწრაფი შეფასება;
- თითოეული სექციის შეფასების ინდიკატორები და რეკომენდაციები შემდგომი საფეხურებისთვის, რომლებიც ეხმარება კანდიდატებს ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებაში;
- მსოფლიოში აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტთან, საერთო ევროპულ სარეფერენციო ჩარჩოსთან შესაბამისობა;
- Lexile® Reading Measure უადვილებს კანდიდატებს მოიპოვონ თავიანთი უნარების შესაბამისი საკითხავი წიგნები და სტატიები.

როგორ უნდა გამოვიყენოთ TOEFL PRIMARY® ტესტები?



- ▮ სასწავლო მიზნების წარმართვისთვის;
- ▮ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისთვის;
- ▮ მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების დასადგენად;
- ▮ ინსტრუქციული გეგმების დასახვისთვის;
- ▮ მიღებული გადაწყვეტილებების საჭიროებისამებრ ინფორმირებისთვის;
- ▮ მოსწავლეთა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მუშაობაზე ორიენტირებისთვის;
- ▮ მშობლების ინფორმირებისთვის მათი შვილების სწავლის შესახებ.

ლექსო კერატიშვილი



“ჩემი სახელია ლექსო კერატიშვილი. ვარ თერთმეტი წლის. *TOEFL Primary*® ტესტი კარგი გამოცდილებაა. თავდაპირველად, ძალიან ვწერეულობდი, მაგრამ შემდეგ შევეჩვიე. ეს ტესტი კარგი საშუალებაა უნარების განვითარების და ჩვენი ცოდნის შემოწმებისთვის. ტესტი არც ძალიან რთულია და არც მარტივი. *TOEFL Primary*® ტესტი გვეხმარება ისეთი წინადადებების შინაარსის გაგებაში, რომლებსაც ვხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. *TOEFL Primary*® ტესტი საუკეთესო საშუალებაა ცოდნის გაღრმავებისთვის”.

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტი TOEFL PRIMARY® ტესტირებისთვის

მე-3 კლასი (8 წლის)

- ▣ ოჯახი და ძირითადი გამონათქვამები ოჯახსა და ოჯახის წევრებზე;
- ▣ სკოლა და მასთან დაკავშირებული ნივთები;
- ▣ შინაური ცხოველები;
- ▣ ადამიანის გარეგნობა.

მე-4 კლასი (9 წლის)

- ▣ ძირითადი გამონათქვამები;
- ▣ ძირითადი ლექსიკა და ფრაზები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა საგანთან, მოვლენასა თუ ხალხთან;
- ▣ დახმარების სათხოვნელად საჭირო მოკლე და მარტივი გამონათქვამები (მაგ., თხოვნა, მიმართულების მიცემა);
- ▣ მოკლე, მარტივი ტექსტები დაკავშირებული მათ გამოცდილებასთან (მაგ., დღის განრიგი ან სატელეფონო შეტყობინება).

მე-5 კლასი (10 წლის)

- ▣ მდიდარი ლექსიკა;
- ▣ მარტივი მოთხრობა და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული სასაუბროები;
- ▣ ტექსტთან დაკავშირებული საგნებისა თუ მოვლენების მარტივი ახსნა;
- ▣ კონტექსტიდან გამომდინარე უცხო სიტყვების მნიშვნელობის გაგება.

მე-6 კლასი (11 წლის)

- ▣ სივრცის, თავისუფალი დროის, ბუნების, ადგილების შესახებ საკუთარი ან მეგობრების გამოცდილებიდან გამომდინარე საუბარი;
- ▣ კონტექსტიდან გამომდინარე შეგრძნებებისა და ზოგიერთი უცნობი სიტყვის გაგება;
- ▣ ნაცნობ თემებზე შექმნილი მოთხრობებისა და ლექსების შედარება;
- ▣ ტექსტიდან ახლად ნასწავლი სიტყვებით არგუმენტირებული მოსაზრებების გადმოცემა ფაქტებთან და დეტალებთან ერთად;
- ▣ კლასში განხილული შედარებების, მეტაფორებისა და სხვა მხატვრული საშუალებების გაგება;
- ▣ სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის გამოყენება (წიგნები, სტატიები, ვებგვერდები) კითხვებზე პასუხების მისაღებად;
- ▣ გარკვეულ საუბრებსა და დისკუსიებში მონაწილეობის მიღება, არა მხოლოდ მოსმენით, არამედ კითხვების დასმითა და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებით.

TOEFL PRIMARY® ტესტები და MACMILLAN ENGLISH

Macmillan English არის ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი, ექვსდონიანი, ბრიტანული ინგლისურის შემსწავლელი სახელმძღვანელო; ის საერთაშორისოდ აღიარებული წიგნია აკადემიური ინგლისურის სწავლების სფეროში. სწორედ ამიტომ მთარგო Macmillan-ის გამომცემლობამ Macmillan English სახელმძღვანელო *TOEFL Primary®* ტესტებს და მათ სტრუქტურას.

წიგნი შედგენილია მათთვის, ვისთვისაც ინგლისური მეორე ენაა და მისი დახმარებით იღრმავებს კითხვისა და მოსმენის უნარებს, რასაც ტესტები ითვალისწინებს.

MACMILLAN ENGLISH 3							
თავი	სემცბა	შინაარსი	აქტივობის ტიპი	უნარები	გვერდი	დავალებათა რაოდენობა	ტესტის უნარები
მიმოხილვა		ქონა-ყოლა; შეძლება	მოუსმინე და იპოვე ადამიანები	მოსმენა	6	1	მოსმენა: დეტალების დადგენა
		კუთვნილებითი ნაცვალსახელები; გენეტიკი	ვისია ეს ნივთები?	საუბარი	6	2	საუბარი: მარტივი აღწერა
		ახლანდელი განვრძობითი დრო	რას აკეთებენ ისინი? რა აცვიათ მათ?	საუბარი	7	3	საუბარი: მარტივი აღწერა
		ახლანდელი მარტივი დრო	ვის მოსწონს ისინი?	საუბარი	7	4	საუბარი: მარტივი აღწერა, შეხედულებათა გამოთქმა
		წარსული მარტივი დრო	იპოვე ადამიანები. ვინ იყო გუშინ მალაზიში? ვინ მუშაობდა გუშინ?	საუბარი	8	1	საუბარი: მარტივი აღწერა
			მოუსმინე. ვინ თქვა ეს?	მოსმენა	8	2	მოსმენა: დეტალების დადგენა
			როგორი დრო გაატარე გუშინ ქალაქში?	საუბარი	9	3	საუბარი: მარტივი აღწერა
		წარსული მარტივი დრო	იყო ბევრი...	საუბარი	9	4	საუბარი: მარტივი აღწერა

TOEFL JUNIOR® STANDARD ტესტი



- ┐ ტესტის მიზანი სასკოლო გარემოში 11+ წლიდან მოსწავლეების ინგლისური ენის ცოდნის A2-B2 დონის, CEFR შკალის მიხედვით, შეფასებაა;
- ┐ ტესტი სრულდება ფურცელზე მხოლოდ ფანქრის გამოყენებით და აქვს პასუხების არჩევითი ფორმატი;
- ┐ ეფუძნება დამოუკიდებელ სასწავლო გეგმას;
- ┐ ტესტის ხანგრძლივობაა 1 საათი და 55 წუთი;
- ┐ აფასებს:
 - « მოსმენის უნარს;
 - « გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას;
 - « კითხვის უნარს.
- ┐ აქვს სწრაფი შეფასების სისტემა.

რატომ TOEFL JUNIOR® STANDARD ტესტი?



- ▮ ტესტის ბეჭდური მოდელი ხელმისაწვდომია მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში;
- ▮ TOEFL® ყოველწლიურად გამოსცემს ახალ ტესტებს, რათა სათანადოდ შეფასდეს მოსწავლის პროგრესი;
- ▮ მოსწავლეებს ურჩევს გაიღრმავონ კითხვის უნარები Lexile® ბიბლიოთეკის საშუალებით.

გვეხმარება:

- ▮ განვსაზღვროთ აქვთ თუ არა მოსწავლეებს სათანადო საკომუნიკაციო უნარები, რათა შეძლონ საკლასო ოთახში ინგლისურენოვანი ინსტრუქციების გაგება;
- ▮ განვათავსოთ მოსწავლეები მათი დონის შესაბამის პროგრამებზე;
- ▮ დავაკვირდეთ მოსწავლეების პროგრესს დროთა განმავლობაში, რათა შევადგასოთ მათი სწავლის ხარისხი;
- ▮ მშობლებთან კომუნიკაციის დამყარებასა და მათი შვილების სწავლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში;
- ▮ რომ მონაწილეობა მივიღოთ HMC Projects სასტიპენდიო პროგრამაში დონის განმსაზღვრელი ტესტის დაწერის გარეშე.

HMC PROJECTS სასტიპენდიო პროგრამა



HMC Projects არის მრავალი წამყვანი დამოუკიდებელი სკოლის დირექტორთა ასოციაცია გაერთიანებულ სამეფოში.

პროექტი საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტებს სტიპენდიით განათლება მიიღონ წამყვან კერძო ბრიტანულ სკოლებში. პროექტი საქართველოში კომპანია Unique Learning-ის მხარდაჭერით მეშვიდე წელია ხორციელდება. Unique Learning ორგანიზებას უწევს მოსწავლეებთან ინტერვიუების ჩატარების პროცესს, უზრუნველყოფს კანდიდატებისთვის მხარდაჭერას და ინფორმაციის მიწოდებას. ქართველი მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც გაერთიანებულ სამეფოში სასწავლად მიემგზავრებიან, ყოველწლიურად იზრდება.

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტი TOEFL JUNIOR® STANDARD ტესტირების

მე-7 კლასი (12 წლის)

- ▣ შეუძლიათ წაკითხული მასალიდან თემის განსაზღვრა და ტექსტიდან გამომდინარე შეკითხვებზე პასუხის გაცემა;
- ▣ სწავლობენ სიტყვებისა და ფრაზების ზუსტ და გადატანით მნიშვნელობებს;
- ▣ შეუძლიათ ტექსტში გარკვეული მტკიცებულებებისა და არგუმენტების იდენტიფიცირება და მათი სისწორის განსაზღვრა;
- ▣ შეუძლიათ ლოგიკური მსჯელობითა და ფაქტების გამოყენებით მოსაზრებებისა და არგუმენტების ჩამოყალიბება;
- ▣ შეუძლიათ სხვადასხვა მიზნისა და ამოცანისთვის გარკვეული აქტივობების ხანგრძლივად შესრულება;
- ▣ შეუძლიათ საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება, სხვადასხვა მასალის გამოყენებით მცირე მოცულობის საკვლევი პროექტების შექმნა კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის მისაღებად.

მე-8 კლასი (13 წლის)

- ▣ ადარებენ ლექსებს, მოთხრობებსა და ისტორიულ რომანებს, ხსნიან მათ შინაარსს და საუბრობენ პერსონაჟთა მოქმედებებზე;
- ▣ იყენებენ სხვადასხვა მეთოდს უცნობი სიტყვების მნიშვნელობის განსასაზღვრად;
- ▣ აანალიზებენ, თუ როგორ გადმოსცემს მწერალი მთავარ აზრს (მაგალითად, მეტაფორის გამოყენებით) და როგორ ერწყმის სიუჟეტი, პერსონაჟები და გარემოებები ერთმანეთს;
- ▣ აანალიზებენ, თუ როგორ იყენებს მწერალი სხვადასხვა პერსონაჟს განსხვავებული მოსაზრებების საჩვენებლად;
- ▣ ქმნიან მოკლე კვლევით პროექტებს კითხვების მიხედვით და იყენებენ უამრავ ინფორმაციას მათზე საპასუხოდ.

მე-9 კლასი (14 წლის)

- ▣ განსაზღვრავენ წაკითხულის ზუსტ მნიშვნელობას ტექსტში გამოყენებული ლექსიკითა და გრამატიკით;
- ▣ განსაზღვრავენ რამდენად გასაგებია მწერლის არგუმენტები;
- ▣ აანალიზებენ თუ რატომ არის ინფორმაცია სხვადასხვა ფორმატში წარმოდგენილი (მაგალითად, ინტერაქტიული დაფები ვიდეოებთან ერთად);
- ▣ ამდიდრებენ ლექსიკას აკადემიური სიტყვებითა და ფრაზებით, წერასა თუ დისკუსიებში გამოსაყენებლად;
- ▣ კონტექსტიდან გამომდინარე იგებენ მეტყველების ნაწილების მნიშვნელობებს.

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტი TOEFL JUNIOR® STANDARD ტესტისთვის

მე-10 კლასი (15 წლის)

- ┐ მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში, მსჯელობენ და ნათლად აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებებს;
- ┐ იგებენ მოსაუბრის არგუმენტებსა და მოსაზრებებს ესეებსა თუ დებატებში. განსაზღვრავენ გამომწვევ მიზეზებსა და ფაქტებს;
- ┐ განსაზღვრავენ კონტექსტიდან გამომდინარე სიტყვების მნიშვნელობებს (ახალი სიტყვის გარშემო არსებული სიტყვებისა და წინადადებების დახმარებით);
- ┐ შეუძლიათ სხვადასხვა სტილით წერა მკითხველის ტიპის თუ მიზნის გათვალისწინებით;
- ┐ წერისას ეფექტურად და ბუნებრივად აკავშირებენ საკუთარ იდეებსა და შერჩეულ ინფორმაციას.

მე-11 კლასი (16 წლის)

- ┐ შეუძლიათ გადატანითი მნიშვნელობების გაგება იმის დასადგენად, თუ როგორაა ის გამოყენებული ტექსტისთვის გარკვეული მნიშვნელობების მისაცემად;
- ┐ წაკითხულზე საუბრობენ ან წერენ; გამოთქვამენ აზრებსა და იდეებს ტექსტის შესახებ გარკვეული მაგალითების მოშველიებით (რა არის პირდაპირ გამოთქმული და რა - გადატანითი მნიშვნელობით);
- ┐ შეუძლიათ გარკვეული საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვა, სხვადასხვა მიზეზისა თუ ფაქტის მოშველიებით;
- ┐ აკეთებენ როგორც მოკლე, ასევე ხანგრძლივ საკვლევ პროექტებს; წარმოადგენენ ინფორმაციას არა მხოლოდ წერილობით, არამედ ბეპირად, გრაფიკებით ან ვიდეო პრეზენტაციებით;
- ┐ მონაწილეობას იღებენ ჯგუფურ დისკუსიებში, აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს, ასევე ისმენენ და ითვალისწინებენ სხვათა შეხედულებებსაც.

TOEFL JUNIOR® STANDARD

თესტი და BEYOND

BEYOND არის 6 დონიანი სახელმძღვანელო მოზარდებისთვის, A1+ დან B2 დონის ჩათვლით. კურსი მორგებულია საერთო ევროპულ სარეფერენციო ჩარჩოს (CEFR) სტანდარტებს და საერთაშორისო ტესტებს.

BEYOND-ის მასალა საინტერესოა, მოტივაციას უმაღლებს მოსწავლეებს და ენის შესწავლის პროცესს ხდის უფრო სახალისოს, საინტერესოსა და დინამიურს. კურსის განმავლობაში მოსწავლე განიმტკიცებს დაგროვილ ცოდნას და მისი პროგრესიც აშკარაა.

BEYOND A2 MAPPING OF SKILL BUILDING ACTIVITIES FOR THE TOEFL JUNIOR® STANDARD TEST						
სემსი	შინაარსი	აქტივობის ტიპი	უნარები	გვერდი	დავალების ნომერი	თესტის სემსი, შიკითხვის ტიპი
ლექსიკასთან მუშაობა	საკვები და სახმელი	მოუსმინეთ და შეავსეთ	მოსმენა	54	2b	მოსმენა: მოკლე დიალოგები; მნიშვნელოვანი დეტალების ამოცნობა
კითხვა: საუბარი და კითხვა	ტექსტის ადრესატის ამოცნობა	წაიკითხეთ და უპასუხეთ	კითხვა	56	2ab, 3, 4	კითხვა: ტექსტის იდეის ამოცნობა, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ინფორმაციის ამოცნობა; ავტორის შთაბერილი სათქმელის გაანალიზება
კითხვა და მოსმენა: გრამატიკა კონტექსტში	<i>A lot of, much, many, some, any</i>	წაიკითხეთ, მოუსმინეთ და უპასუხეთ	კითხვა და/ან მოსმენა	57	1	კითხვა/მოსმენის უნარები: მოკლე დიალოგები; მნიშვნელოვანი დეტალების ამოცნობა
სწავლა		შეავსეთ გამოთვლილი ადგილები; იპოვეთ მისაღები ტექსტები	კითხვა და წერა	57	2, 3	ენის გრამატიკული და ლექსიკური ნაწილები
პრაქტიკა		აირჩიეთ სწორი პასუხი; შეავსეთ წინადადებები	კითხვა და წერა	57	5, 6	ენის გრამატიკული და ლექსიკური ნაწილები
საუბარი		მეწყვილესთან საუბარი	საუბარი	57	7	ენის გრამატიკული და ლექსიკური ნაწილები

LEXILE® ბიბლიოთეკა

The screenshot shows the Lexile website interface. At the top, there are navigation links: Home, Library, Your Bookshelf, Sign Up, and Log In. The Lexile logo and 'ETS TOEFL Junior' are on the left. A search bar on the right says 'Browse & Search the Library'. Below this, the main heading is 'Library: Recommended' with a subtext '715 books in 4 categories plus 6 reading lists'. On the right, it shows 'Your Lexile Measure: 900L' and 'Your Book Range: 800L-950L' with a link to 'Update Your Information'. Below the heading, there's a section 'See Books In:' with a 'Sort by: Lexile Measure' dropdown and a 'Page: 1 of 72' indicator. On the left, there's a sidebar for 'All Your Categories' including Adventure, Fantasy, Graphic Novels & Comics, and Mystery, with an 'Update Your Categories' link. The main content area displays a book titled 'Picture Book of Lewis and Clark' by Adler, David A. (2003) with a Lexile measure of 800L AD. Below the book title are buttons for 'Buy Online', 'Add to bookshelf', and 'Preview Online'.

- ┐ მოსწავლეებს შეუძლიათ ინტერნეტში Lexile® წიგნის საცავის მოძიება და გადმოწერა (50 000-ზე მეტი დასახელების წიგნი);
- ┐ შეუძლიათ ინტერესებიდან გამომდინარე შექმნან საკუთარი საკითხავი სია;
- ┐ შეუძლიათ გადავიდნენ ლინკზე წიგნების შესაძენად ან საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად;
- ┐ ზოგიერთი წიგნის ონლაინ მიმოხილვა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მის შინაარსზე;
- ┐ www.lexile.com

TOEFL ITP® ტესტების შეფასებათა სერიები



TOEFL ITP® ტესტები 100 %-ით ორიენტირებულია აკადემიურ ინგლისურზე, რაც მსგავსია საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ინგლისურისა.

ტესტი გამოიყენება:

- ▣ დონის განსასაზღვრად;
- ▣ პროგრესის მონიტორინგისთვის;
- ▣ დონიდან დონეზე გადასასვლელად;
- ▣ ინგლისურენოვან ქვეყნებში მოკლევადიან პროგრამებში მონაწილეობისთვის;
- ▣ დამამთავრებელი კურსის სტუდენტების და კურსდამთავრებულებისთვის ისეთ არაინგლისურენოვანი ქვეყნების პროგრამებში მონაწილეობისთვის, სადაც ინგლისური არ არის ინსტრუქციების ენა;
- ▣ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად (როგორებიცაა, მაგალითად, გაცვლითი პროგრამები);
- ▣ სასტიპენდიო პროგრამებისთვის.

რატომ უნდა ჩავაბაროთ TOEFL ITP® ტესტები?



- ▣ მრავალფეროვანი ტესტები მთელი წლის განმავლობაში;
- ▣ ყოველწლიურად გვთავაზობს მუდმივად განახლებულ ტესტებს;
- ▣ მოსწავლეებზე მორგებული, ხელმისაწვდომი და სანდო ადგილობრივი ადმინისტრაცია:
 - « აღჭურვილობით და პერსონალით;
 - « ტესტის თარიღისა და დროის ინდივიდუალურად შერჩევით;
 - « საგამოცდო ჯგუფები აპლიკანტების სასურველი რაოდენობით;
 - « პროგრესის შეფასება მრავალი მეთოდის გამოყენებით.
- ▣ უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწრაფი და მოქნილი შეფასების სისტემით;
- ▣ საყოველთაოდ აღიარებული CEFR შკალისა და მისი შესაბამისი სერტიფიკატის საშუალებით ეფექტურად მოწმდება მოსწავლის ცოდნის დონე;
- ▣ მოსწავლეები ჯამურ ქულასთან ერთად იღებენ დეტალურ (სექციების მიხედვით) შეფასებას, რაც მათ ეხმარება ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში.

TOEFL ITP® ტესტის ქულების შესაბამისობა საერთო ევროპულ სარეფერენციო ჩარჩოსთან (CEFR)

მოსმენა	ენის სტრუქტურა და წერიტი დავალებები	კითხვა	მინიმალური (TOEFL ITP® ტესტის დონის) ქულები, დონეების მიხედვით	CEFR დონეები	
64	64	63	627 ქულა	C1	პროფესიონალი – ენის პროფესიონალურ დონეზე მცოდნე
54	53	56	543 ქულა	B2	დამოუკიდებელი - უცხო ენის მაღალ დონეზე მცოდნე
47	43	48	460 ქულა	B1	დამოუკიდებელი - უცხო ენის საშუალო დონეზე მცოდნე
38	32	31	337 ქულა	A2	საბაზისო - უცხო ენის ბაზისურ დონეზე მცოდნე

TOEFL ITP® ტესტები მსოფლიო მასშტაბით



There are three levels of certificates: Gold, Silver and Bronze.
Each corresponds to a CEFR level. Gold = C1, Silver = B2, Bronze = B1.

TOEFL ITP SCALE – Level 1
 Listening Comprehension: 31–68
 Structure and Written Expression: 31–68
 Reading Comprehension: 31–67
 Total: 310–677

TOEFL® ITP Score Descriptors and CEFR Levels

TOTAL minimum TOEFL® ITP scores	European CEFR Levels	CEFR General Descriptions
627 pts.	Proficient User–Effective Operational Proficiency	C1 Can understand a wide range of demanding, longer texts, and recognise implicit meaning. Can express him/herself fluently and spontaneously without much obvious searching for expressions. Can use language flexibly and effectively for social, academic and professional purposes. Can produce clear, well-structured, detailed text on complex subjects, showing controlled use of organisational patterns, connectors and cohesive devices.
543 pts.	Independent User–Vantage	B2 Can understand the main ideas of complex text on both concrete and abstract topics, including technical discussions in his/her field of specialisation. Can interact with a degree of fluency and spontaneity that makes regular interaction with native speakers quite possible without strain for either party. Can produce clear, detailed text on a wide range of subjects and explain a viewpoint on a topical issue giving the advantages and disadvantages of various options.
460 pts.	Independent User–Threshold	B1 Can understand the main points of clear standard input on familiar matters regularly encountered in work, school, leisure, etc. Can deal with most situations likely to arise whilst travelling in an area where the language is spoken. Can produce simple connected text on topics which are familiar or of personal interest. Can describe experiences and events, dreams, hopes and ambitions and briefly give reasons and explanations for opinions and plans.

Note: The cut scores represent the minimum scores needed to enter the CEFR levels. These recommendations are based on the results of mapping studies with expert panels, and data analyses of test-taker scores.

This certificate is printed on security paper. Some of the security features are:

- Heat-activated security seal that disappears with repeated rubbing, but will come back when the temperature returns to normal
- Watermark pattern that is visible only from a 45-degree angle on one side of certificate
- "Void" in multiple languages if attempts are made to alter any information on the certificate with correction fluids
- A unique "check sum" number that can be used to verify the authenticity of information on the certificate

Disclaimer: This is a certificate of achievement and is not intended to replace the official TOEFL ITP score report.



Copyright © 2011 by Educational Testing Service. All rights reserved. ETS, the ETS logo, LISTENING. LEARNING. LEADING, and TOEFL are registered trademarks of Educational Testing Service (ETS) in the United States and other countries. 17978

ყოველწლიურად 50-ზე მეტ ქვეყანაში, 2,500-ზე მეტი დაწესებულება იყენებს 800,000-ზე მეტ TOEFL ITP® ტესტს;

TOEFL ITP® ტესტის შეფასების სისტემა შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ CEFR სტანდარტს და მოჰყვება დონის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი.

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტი

TOEFL ITP® ტესტებისთვის

A2 (Pre-Intermediate)

- ☐ შეუძლიათ ნაცნობ თემებზე წინადადებებისა და ხშირად გამოყენებადი გამონათქვამების გაგება (მაგ., საკუთარი თავის, ოჯახის, საცხოვრებელი გარემო პირობების შესახებ ინფორმაცია);
- ☐ შეუძლიათ კომუნიკაციის დამყარება მარტივ, ყოველდღიურ სიტუაციებში და ინფორმაციის გაცვლა ასევე ყოველდღიურ თემებზე;
- ☐ შეუძლიათ საკუთარ გამოცდილებაზე, არსებულ გარემოსა და საჭიროებებზე საუბარი მარტივი სიტყვების გამოყენებით.

B1 (Intermediate)

- ☐ შეუძლიათ ნაცნობ სიტუაციებში ძირითადი წინადადებებისა და ფრაზების გაგება, რომლებიც ხშირად გვხვდება სამსახურში, სკოლაში, თავისუფალ დროს და ა.შ.;
- ☐ შეუძლიათ თითქმის ყველა სახის სიტუაციასთან გამკლავება, როგორებიცაა, მაგალითად, მოგზაურობა ინგლისურენოვან ქვეყნებში;
- ☐ შეუძლიათ ისაუბრონ მარტივ თემებზე, რომლებიც მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენს;
- ☐ შეუძლიათ საკუთარ გამოცდილებაზე, ოცნებებზე, იმედებსა თუ ამბიციებზე საუბარი, ასევე მოსაზრებების დაფიქსირება და გეგმებზე მსჯელობა.

B2 (Upper-Intermediate)

- ☐ შეუძლიათ როგორც კონკრეტულ, ასევე ზოგად თემებზე არსებული რთული ტექსტების მთავარი აზრის გაგება, მათ შორის, სხვადასხვა დარგში ტექნიკური დისკუსიების წარმართვა;
- ☐ შეუძლიათ მარტივად აულონ ალლო სხვადასხვა სიტუაციის და თავისუფლად იურთიერთონ დაბადებიდან ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანებთან;
- ☐ შეუძლიათ წერილობით დააფიქსირონ საკუთარი აზრი, გააანალიზონ სხვათა შეხედულებები, აღნიშნონ უპირატესობები და ნაკლოვანებები.

C1 (Advanced)

- ☐ შეუძლიათ დიდი მოცულობის ტექსტების გაგება, შეფარვით ნათქვამის ამოცნობა;
- ☐ შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები შეუფერხებლად და თავისუფლად, ზედმეტი ფიქრის გარეშე;
- ☐ შეუძლიათ ენის მოქნილად და ეფექტურად გამოყენება სოციალურ, აკადემიურ თუ პროფესიულ სფეროებში;
- ☐ შეუძლიათ წარმოადგინონ მკაფიო, ორგანიზებული, დეტალური ტექსტი რთულ საკითხზე, მაკავშირებლებისა თუ სხვადასხვა სტილისტური ხერხის საშუალებით.

10 გზა, თუ როგორ უნდა ჩავაბაროთ TOEFL® ტესტები

1

კარგად გამოძინება გააუმჯობესებს თქვენს მესხიერებას - ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდის წინა ღამით კარგად გამოძინება. უძილობა იწვევს დაღლილობას, ხოლო დაღლილი გონება სათანადოდ ვერ მუშაობს, ვერ კონცენტრირდება და მახსოვრობის უნარიც ქვეითდება.

დასვენებული გონება კარგად აზროვნებს, უკეთ კონცენტრირდება, ადვილად იმახსოვრებს ინფორმაციას და არის მეთად შემოქმედებითი.

2

შეინარჩუნეთ სიმშვიდე ტესტის წერისას - ტესტის დროს ღელავა ბუნებრივია და ეს ნუ შეგაშინებთ. თქვენი ერთადერთი ამოცანა ტესტის დაძლევა და მისი დროულად შესრულებაა. თუკი ნერვიულობთ და გრძნობთ დაძაბულობას, ეცადეთ მოეშვათ როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურად. თუკი მაქსიმალურად შეეცდებით, რომ განიტვირთოთ და იფიქროთ პოზიტიურად, შეძლებთ კონცენტრირებას და სასურველი შედეგის მიღწევას!

3

ყურადღებით მოუსმინეთ და დაკვირვებით წაიკითხეთ ინსტრუქციები - ძალიან ხშირად კანდიდატები იმდენად ჩქარობენ ტესტის შესრულებას, რომ ავიწყდებათ ინსტრუქციის წაკითხვა. ზოგჯერ ისინი არასწორად კითხულობენ პირობას ან ვარაუდობენ თუ რაზე შეიძლება იყოს ის. ზოგიერთი დავალება რამდენიმე ნაწილისგან შედგება, მოსწავლეები კი ყურადღებას მხოლოდ მათ მცირე ნაწილს აქცევენ, რის გამოც სავარჯიშო არასრულყოფილადაა შესრულებელი. უყურადღებოდ წაკითხული ინსტრუქცია კი ცუდად აისახება თქვენს შედეგზე!

4

ეცადეთ კონცენტრირდეთ თითოეულ შეკითხვაზე - თქვენს წარმატებას განაპირობებს ის, თუ რამდენად იქნებით კონცენტრირებული თითოეულ დავალებაზე. თუ ამას შეძლებთ, იქნებით პროდუქტიული, შეძლებთ სავარჯიშოების ეფექტურად შესრულებას და მოკლე დროში მიაღწევთ სასურველ შედეგს.

5

მოსასმენი დავალების შესრულებისას გააკეთეთ მოკლე ჩანაწერები (TOEFL ITP® ტესტები) - ჩანაწერები დაგეხმარებათ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფაში, მოსმენილის გახსენებასა და კონცენტრირებაში. მისი სწორად ჩაწერა გაზრდის სავარჯიშოს უკეთ გაგების შესაძლებლობას.

10 გზა, თუ როგორ უნდა ჩავაბაროთ TOEFL® ტესტი

6

წაიკითხეთ ყველა სავარაუდო პასუხი - მას შემდეგ, რაც გავიაზრებთ სწორ პასუხს, სწრაფადვე ვხაზავთ ჩვენთვის მისაღებ ვარიანტს, ისე, რომ დანარჩენ სავარაუდო პასუხებს აღარ ვეცნობით, რაც ხშირად შეცდომის დაშვების საფუძველი ხდება.

7

უპასუხეთ ყველა შეკითხვას - ყველა შეკითხვაზე პასუხი მაღალი შეფასების მიღების შანსს საგრძნობლად ზრდის.

8

აკონტროლეთ დრო - აკონტროლეთ ტესტის თითოეული სექციისთვის განკუთვნილი დრო, რათა დროულად შეასრულოთ დავალები.

9

გამოტოვეთ რთული შეკითხვები და მიუბრუნდით მოგვიანებით - თავდაპირველად უპასუხეთ მარტივ შეკითხვებს. შეასრულეთ ის დავალებები, რომელთა სისწორეში დარწმუნებული ხართ. ეს კი თავდაჯერებულობას შეგმატებთ და გონებასაც ნაკლებად დაგიღლით. არაეცნობიერად თქვენ უკვე ფიქრობთ გამოტოვებული შეკითხვების პასუხებზე. როდესაც მათ დაუბრუნდებით, პასუხის გაცემა ბევრად უფრო გაგიმარტივდება.

10

უცნობი სიტყვების გასაგებად გამოიყენეთ აბზაცის შინაარსი - უცხო სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში კონტექსტის გააზრება დაგეხმარებათ. გაუგებარი სიტყვის გარშემო არსებული სიტყვები მკითხველს ეხმარება მისი მნიშვნელობისა და სტრუქტურის შეცნობაში.

10 გზა, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ TOEFL® ტესტირებისთვის

1

გაცანით TOEFL® ტესტების ფორმატს - თითოეულ სექციას აქვს განსაზღვრული შეკითხვები და სავარჯიშოები. შესაძლოა, ასეთი ტიპის დავალებები აქამდე, ინგლისური ენის შესწავლისას, არ შეგხვედრიათ. ასე რომ ტესტირებამდე მსგავსი სავარჯიშოების გაკეთება მნიშვნელოვანია.

განხილული თემები და დასმული შეკითხვები ყოველთვის იცვლება, მაგრამ TOEFL® ტესტების ფორმატი - არასდროს. ტესტი ყოველთვის ერთი ფორმატისაა! სწორედ ამიტომ, მოცემული ინფორმაცია გასათვალისწინებელია.

2

დასახეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - სასწავლო გეგმის დასახვა ეფექტური გზაა თქვენი განათლების სწორად წარმართვისთვის. თითოეულ მოსწავლეს ყველასგან განსხვავებული სასწავლო გეგმა გააჩნია; არ არსებობს სასწავლო გეგმის დადგენილი სტანდარტი, რომელიც ყველას ერგება. როდესაც ქმნით ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მნიშვნელოვანია სწორად შეაფასოთ თქვენი გრაფიკი და განსაზღვროთ სასწავლო მიზნები. გაიაზროთ, თუ რატომ სწავლობთ და განავითაროთ გეგმა, რომელიც დაგეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში.

3

გამოიყენეთ მაღალხარისხიანი რესურსები - ძიებისას უამრავ სასწავლო რესურსს აღმოვაჩენთ. თუმცა საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ ეს რესურსები სანდოა? როგორ მივხვდეთ, რომელი მათგანი დაზოგავს ჩვენს დროს და გახდის სწავლის პროცესს უფრო ეფექტურს? სწორედ ამიტომ, მაღალხარისხიანი რესურსები ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესისთვის.

4

ნუ გააკეთებთ სხვა საქმეს სწავლასთან ერთად - სწავლისას რამდენიმე საქმის ერთად კეთება უარყოფითი შედეგების მომტანია. რადგანაც მოსწავლეები სათანადოდ არ არიან კონცენტრირებული სწავლაზე, ეფექტურად ვერ ითვისებენ შესასწავლ მასალას. ზემოთ აღნიშნული აგრეთვე აფერხებს დეტალებზე კონცენტრირებას.

5

სწავლისას გააკეთეთ ჩანაწერები - ჩანაწერები დაგეხმარებათ ინფორმაციიდან გამოყოთ ძირითადი და მეორეხარისხოვანი მასალები, იყოთ მობილიზებული და ორგანიზებული.

10 გზა, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ TOEFL® ტესტირებისთვის

6

ტესტირებამდე იმეცადინეთ დღეში ორი საათი მაინც - ტესტირებამდე ყოველდღე ორი საათი მეცადინეობა დაგეხმარებათ სასურველი შედეგის მიღწევაში. როდესაც ტესტირების საჭირო ყველა საკითხს გაივლით, ნახვავლის გამოვრება და განმტკიცება უკეთესი შედეგის მიღების გარანტია.

7

გამიძიდრეთ ლექსიკა - შეგეძლება თუ არა მოკლედ და სხარტად კომუნიკაცია (როგორც წერა, ისე საუბარი); თანამოსაუბრეც უფრო მარტივად გაიგებს თქვენს საუბარს და აგიმალღებთ თვითშეფასება.

გარდა ამისა, მდიდარი ლექსიკა დაგეხმარებათ სკოლაში, სამსახურსა თუ საზოგადოებაში. თქვენ უკეთესად გაიგებთ სხვათა მოსაზრებებს და უფრო ეფექტურად გაუზიარებთ თქვენს აზრებს მათ.

8

აკონტროლეთ დრო თითოეული სექციისთვის - აკონტროლეთ ტესტის თითოეული სექციისთვის განკუთვნილი დრო, რათა დროულად შეასრულოთ დავალები.

9

გამოიყენეთ ვიზუალური მახსოვრობის უნარი - ვიზუალური მახსოვრობა გვეხმარება ინფორმაციის ეფექტურად დამახსოვრებაში. როგორც ცნობილია, ტვინის ის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია სიტყვების დამახსოვრებაზე შედარებით პატარაა, ვიდრე ის, რომელიც ვიზუალურ გამოსახულებებს იმახსოვრებს.

სიტყვები აბსტრაქტულია და ბევრად უფრო რთულია ტვინისთვის მათი დამახსოვრება, ვიდრე ვიზუალური მასალისა, რომელიც კონკრეტული და ადვილად დასამახსოვრებელია გონებისთვის.

10

ტესტირებამდე იმუშავეთ მსგავსი ტიპის ტესტებზე - თუკი ტესტირებამდე მსგავსი ტიპის ტესტებზე იმუშავეთ, მიხვდებით, თუ რაზე უნდა კონცენტრირდეთ. ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა, რომ მოსწავლეებმა ივარჯიშონ იმ საკითხებზე, რაც ყველაზე მეტად უჭირთ. მოდელირებული ტესტირება რეკომენდაციების მიცემით უფრო თავდაჯერებულს ხდის მოსწავლეებს და ეხმარება მათ სამომავლო წარმატებაში.

ამგვარად, მოდელირებული ტესტი, თუკი ის სწორადაა შედგენილი, ძალიან სასარგებლოა და ერთგვარი გამოწვევაა მოსწავლეებისთვის, რაც აგრეთვე ეხმარება მათ შეიმუშაონ სტრატეგიები, განავითარონ ცოდნა, დაძლიონ გამოცდაზე არსებული დაძაბულობა და იხელმძღვანელონ გეგმის მიხედვით.



english book
education®



საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: დიდი დილომი III მ/რ, ვეფხისტყაოსნის ქ. 92
ტელ: 0322 00 12 44 | ელ. ფოსტა: englishbookteam@englishbook.ge
ვებგვერდი: www.englishbookeducation.co.uk | www.onlinebookshop.ge
Facebook: English Book Education | Online Bookshop
Youtube: English Book Education/Channel

Authorized Distributor of the

TOEFL® Primary™ Tests

From ETS

Authorized Distributor of the

TOEFL Junior® Test

From ETS

Authorized Distributor of the

TOEFL ITP® ASSESSMENT SERIES

From ETS